

ვერსიის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში

ნანა სხირტლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ მახარობლიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა სხირტლაძე

27.06.2022

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ვერსიის კატეგორიის კვლევას ქართულ ჟესტურ ენაში. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ქართული ჟესტური ენის ვერსიის კატეგორიის მორფოლოგიური ნიშან-თვისებების განსაზღვრა; ქართული ჟესტური ენის ვერსიის კატეგორიის მსგავსება-განსხვავებანი ქართულ ენასთან; რამდენი სახის ვერსია არსებობს ქართულ ჟესტურ ენაში და რა თვისებები ახასიათებთ.

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენე დესკრიფციული მეთოდი, ტიპოლოგიური ანალიზისთვის გამოვიყენე ვოლსის (<https://wals.info/>) სტატიები და რუკები. ამასთანავე, ჩავატარე კვლევა ოცდაათწუთიან ცოცხალ ნარატივზე დაყრდნობით, რომელიც ეხებოდა ქვეყანაში არსებულ სიახლეებს (ახალ ამბებს).

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ქართული ჟესტური ენა ქართულ სამეტყველო ენას მისდევს და კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს, მსგავსებებთან ერთად გააჩნია განსხვავებებიც, ქართულ სამეტყველო ენასთან შედარებით მეტი სახის ვერსია გვხვდება და გადმოიცემა შესაბამისი მარკერებით.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: ქართული ჟესტური ენა, მარკერი, ირიბი ობიექტი, პატივისცემითი, უპატივცემულო, რეფლექსივი.

Abstract

The master's thesis is dedicated to the study of the version category in the Georgian sign language. In particular, the focus is on issues such as: defining the morphological features of the category of Georgian sign language version; Similarities and differences between the category of Georgian sign language version and Georgian language; How many types of versions are there in Georgian sign language and what are their characteristics.

To answer the research questions, I used the descriptive method. Also I used Wals (<https://wals.info/>) articles and maps for typological analysis. In addition, I conducted research based on a thirty-minute live narrative related to news in the country.

The research confirms that the Georgian sign language follows the Georgian spoken language and is even more diverse. Along with the similarities, there are also differences, more versions are found compared to the Georgian spoken language and are conveyed with appropriate markers.

Key Words: Georgian Sign Language, Marker, Indirect object, Respect, Unrespect, Reflexive.

მადლობა

მადლობა ილიას სახელმწიო უნივერსიტეტს, კერძოდ, ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტს, რადგან მომცა შესაძლებლობა მაგისტრატურის საფეხურზე მესწავლა.

დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ თამარ მახარობლიძეს, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, კონსულტაციების და საინტერესო რჩევებისთვის.